

# „მწვანე ალტერნატივა“ მთის გზების პროექტის სტრატეგიულ შეფასებას ითხოვს

reginfo.ge/environment/item/6668-„mxvane-alternativa“-mtis-gzebis-proeqtis-strategiul-shepasebas-itxovs

Reginfo.ge

გარემოს დაცვა

13:36 - 02 მაისი 2018 95



ფოტოზე ირაკლი მაჭარაშვილი ფოტო © ბათუმელები

„მწვანე ალტერნატივამ“ განცხადებით მიმართა რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრს მაია ცქიტიშვილს და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრს, ლევან დავითაშვილს სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასება გაუკეთდეს „სნო-ჯუთა-როშკა-შატილი-ომალო-ხადორის ხეობა-ბანარა-ახმეტას მიმართულებით საავტომობილო გზების მშენებლობის პროექტს“ და მისი განხორციელების შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად უზრუნველყოფილი იქნას საზოგადოების ფართო მონაწილეობა ორპუსის კონვენციის შესაბამისად.

„მწვანე ალტერნატივას“ შეფასებით, ჯუთა-როშკას საავტომობილო გზის გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზმ) **ანგარიში შესრულებულია ძალიან დაბალ დონეზე**. არ ეფუძნება არანაირ კვლევას და გადანერილია სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ორგანიზაციის მიერ შესრულებული გზმ-ს ანგარიშებიდან. დაახლოებით 5 მილიონიანი ტენდერის პირობებით განსაზღვრული ვალდებულებები კი შესრულებული არ არის.

გარემოსდაცვითი ორგანიზაცია დიდი ოდენობით საბიუჯეტო თანხების შესაძლო არამიმზობრივი ხარჯვის ფაქტზე გამოძიების დაწყებასაც ითხოვს.

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა სნო-ჯუთა-როშკა-შატილი-ომალო-ხადორის ხეობა-ბანარა-ახმეტის საავტომობილო გზის დაპროექტებაზე განმეორებითი ტენდერი 2016 წლის 13 ოქტომბერს გამოაცხადა. ტენდერში 2 კომპანია მონაწილეობდა. დეპარტამენტმა ჰოლანდიური კომპანიის „Antea Nederland B.V.“-ს მიერ წარდგენილი დოკუმენტაცია საკუნკურსო მოთხოვნებთან შეუსაბამოდ მიიჩნია და დისკვალიფიკაცია მისცა, 16 ნოემბერს ჩატარებულ სხდომაზე კი საკონკურსო კომისიამ გამარჯვებულად ხორვატიული კომპანიის ქართული ფილიალი გამოაცხადა „სს ინსტიტუტი იგპ, სააქციო საზოგადოება სამოქალაქო მშენებლობის კვლევებისა და განვითარების საკითხებში“, რომლის შეთავაზებულმა თანხამ 4 986 600 ლარი შეადგინა. კომპანიის ქართული ფილიალი საქართველოში 2016 წლის 26 სექტემბერს არის დარეგისტრირებული.

2017 წლის ბოლოს, ტენდერში გამარჯვებულმა კომპანიამ და საავტომობილო გზების დეპარტამენტმა მაღალმთიანი რეგიონების დამაკავშირებელი გზების პროექტი დაანაწევრეს და საჯარო განხილვებისთვის გზის ოთხი მონაკვეთის (კარკუნა-ჯუთას, ჯუთა-როშკას, როშკა-ლელისვაკის და ძიბახევი-ხადორის) გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშები წარმოადგინეს.

გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშები იმდენად უხარისხო აღმოჩნდა, რომ მხოლოდ როშკა-ლელისვაკის მონაკვეთზე გარემოს დაცვის სამინისტრომაც კი 26 შენიშვნა მოამზადა და გზების დეპარტამენტს დოკუმენტი უკან დაუბრუნა. სამინისტრო მიუთითებს გზმ-ს ანგარიშში ყალბი მონაცემების გამოყენებაზე, ასევე იმის შესახებ, რომ საინჟინრო - გეოლოგიური კვლევები ვერცერთ საფეხურს ვერ აკმაყოფილებს. ამასთან, სამინისტროს განცხადებით, სნო-ჯუთა-როშკა-შატილი-ომალო-ხადორის ხეობა-ბანარა-ახმეტის საპროექტო გზის ცალკეულ ნაწილებად დაყოფა და მონაკვეთებად წარმოდგენა, ვერ იძლევა მთლიანი გზის მშენებლობა-რეკონსტრუქციით გამოწვეული გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესაძლებლობას.